ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 14 აპრილი, 2023 №74 (9110) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ღირებული ინფორმაცია აქვს სოსო გოგაშვილს სასამართლო კლანზე



გვ.4

# „ივანიშვილი თავის თამაშებს თუ გააგრძელებს, მერე ნახავს ზეწოლას და სანქციებს“





დავით ზურაბიშვილი: „არავინ არ დაუშვებს აქ, ერთი თავკერძა ახირებული მილიარდერის პარპაშს. ამას პირდაპირ გეუბნებით. ამის ვარიანტი არ არის. მე არ გამოვრიცხავ, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც პუტინზე გაიცა დაპატიმრების ორდერი, ისე გაიცეს ბიძინა ივანიშვილზე!“

გვ.2

## „ოპოზიცია პარლამენტში „ქართული ოცნების“ მოედანზე თამაშობს“



ლევან ალაფიშვილი: „დღეს პოლიტიკური სპექტრი ყველა მიმართულებით ღრმა კრიზისშია“

გვ.3

გვ.3



## პოლონეთის ვიცე-პრემიერი: „ვცდილობთ, გამოვიყვანოთ პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოდან“



გვ.4

## „ომი უკრაინაში რუსეთმა დიდი ხნის წინ დაგეგმა“

„კორუფციის საკითხი ომის დროს სხვანაირად უნდა წყდებოდეს. კორუფციონერებს ბრძოლის წინა ხაზზე უნდა უშვებდნენ“

## ოთხმა ქართველმა ესპანეთში ბინა გაქურდა — ბრალდებულები დააკავეს



გვ.5



გვ.4

## მარნეულში მანქანა, რომელსაც პოლიცია აედევნა, ხიდზე ამობრუნდა, არიან დაკავებულები


3 გიორგი ცაგარეიშვილი ოპოზიციაზე: „დასდევენ ერთმანეთს, კარდაკარ, კურორტებზე ეძებენ“

2 მექრთამეობა და მექრთამეობა ბიზნესში — საერთაშორისო რეიტინგში საქართველომ 22 საფეხურით უკან გადაინია

4 ბოლო ერთ წელში რუსებმა საქართველოში 8 ათასზე მეტი ბინა იყიდეს

6 რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელი სამხედრო ტყვე მხეცურად მოკლეს

# „ივანიშვილი თავის თამაშებს თუ გააგრძელებს, მერე ნახავს ზეწოლას და სანქციებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



## დავით ზურაბიშვილი: „არავინ არ დაუშვებს აქ, ერთი თავკერძა ახირებული მილიარდერის პარპაშს. ამას პირდაპირ გეუბნებით. ამის ვარიანტი არ არის. მე არ გამოვრიცხავ, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც პუტინზე გაიცა დაპატიმრების ორდერი, ისე გაიცეს ბიძინა ივანიშვილზე!“

***– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? დავით კეზერაშვილის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა. რამდენად დააზიანებს ეს ყველაფერი იმ ოპოზიციურ ფრთას, ვისაც კეზერაშვილი აფინანსებს? რა რეალობა გვაქვს, ერთი ოლიგარქი მეორეს წინააღმდეგ?***

– კეზერაშვილი არ არის მთელი ოპოზიციის სპონსორი. რალაცნაირად ხელისუფლება ცდილობს ასე გამოიყვანოს, რომ თუ აქეთ ბიძინაა, იქით კეზერაშვილია და აირჩიე ამ ორ ოლიგარქს შორის. ეს ამ ხელისუფლების პროპაგანდისტული სქემაა. რაც შეეხება კეზერაშვილთან დამოკიდებულებას, ვინც სააკაშვილის ოპოზიციაში იყო 2012 წლამდე, მისთვის მიუღებელი იყო კეზერაშვილი, ცხადია, მათთვის დღესაც მიუღებელია.

კეზერაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა იმ ხელისუფლებაში, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბიზნესის წართმევები, ქონების გადაფორმებები და, მოკლედ, ძალიან ბევრი ცუდი რამ, რაც იმ ხელისუფლების დროს ხდებოდა. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ამ თვალსაზრისით. ამიტომ პირადად ჩემთვის, ვინც მაშინ ოპოზიციაში იყო, არასოდეს არ ყოფილა ის ავტორიტეტი და არც მისი ფული არ გვქონია არასდროს. სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ის ოდიოზური ფიგურა არ არის. ხელისუფლებიდან რომ წავიდა, ბიზნესში გადაინაცვლა. სწორედ კეზერაშვილი იყო ნაცმოძრაობის მთავარი ხაზინადარი. პარტიის ფული მას ებარა. მანამდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და 25 წლის ბიჭი უცებ გახდა მილიონერი. მას ამის ნიჭი კი არ გამოუვლენია, უბრალოდ, მას ჩაბარდა მთელი ფული.

***– ამ სკანდალებზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ამ სკანდალებს, აქაც ახალი არაფერია. თავის დროზე, ალბათ ადევნებდით თვალყურს და ეს არ არის დიდი საიდუმლო, შედგა ერთგვარი გარიგება ბიძინა ივანიშვილსა და კეზერაშვილს შორის. ერთი პერიოდი ის საერთოდ განთავისუფლდა ყველანაირი ბრალდებებისგან. ორმა სასამართლომ გაამართლა. აქ ბიზნესებიც ჰქონდა. ამ ქოლცენტრებზე, ახლა რომ ლაპარაკობენ, ხელისუფლების გარეშე ეს ხომ არ გამოვიდოდა. ეს შეუძლებელია. ამას საქართველოში ვერ გახსნიან, რადგან ამაში ხელისუფლებაც გარეულია. ერთობლივი საქმე ჰქონდათ. როგორც ამბობენ, ერთადერთი პირობა იყო, კეზერაშვილს ოპოზიცია და, კონკრეტულად, ნაცმოძრაობა არ უნდა დაეფინანსებინა და ტელევიზია არ უნდა გაეკეთებინა. როდესაც ორივე გააკეთა, ამის მერე გაფუჭდა მათი ურთიერთობა. მერე მოყვა ამას გამამტყუნებელი განაჩენები. ბიძინასთვის პრინციპულად მიუღებელია, რომ მის გარდა, ვინმე პოლიტიკაში ფულს ხარჯავს. ამას ის აღიქვამს ძალიან დიდ საფრთხედ. როგორც ივანიშვილს, ისე კვირიკაშვილს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ ფულის როლზე პოლიტიკაში.

***– ეს სკანდალები რამდენად აზიანებს ოპოზიციის იმ ფრთას, ვისაც კეზერაშვილი აფინანსებს და იმ ტელევიზიას?***

– ის ფრთა თუ დაზიანდება, მე ამაში დიდ ეროვნულ ტრაგედიას ვერ ვხედავ. მე უფრო მეტად მაშფოთებს სხვა ფრთა, რომელიც თავს ვერ აბამს კონსოლიდაციას და სერიოზულ ძალად ჩამოყალიბებას. ნაცმოძრაობა თუ დაიშლება, ის ამომრჩეველი ისევ ოპოზიციაში წავა, ამით ხელისუფლება ვერ იხეირებს. პირიქით, მისთვის საშიშიც არის, რადგან საფრთხობელას როლს ველარ ითამაშებს ნაცმოძრაობა. დაუძლურებული სააკაშვილიც საფრთხობელად ვერ გამოდგება. ამიტომ ამ სიტუაციაში ხელისუფლებას რა უხარია, მე არ ვიცი. ერთს ვურჩევ ნაცმოძრაობას, თუ ის სერიოზულად აპირებს დასავლეთთან პარტნიორობას და თანამშრომლობას, მაშინ კეზერაშვილთან ურთიერთობა მათ არ წაადგებათ.

***– ნაციონალებზე ვსაუბრობთ და ვიცით, ერთი ამბავი იყო ამ დასანქცირებულ მოსამართლეებთან დაკავშირებით. ოპოზიციამ გადაწყვიტა საგამოძიებო კომისია შეექმნა, თუმცა ნაცმოძრაობამ ბოლო წუთს, ასე ვთქვათ, გადააგდო. ითქვა, რომ „ოცნებასთან“ გარიგებულები არიანო. თქვენ რას იტყვით?***

– არა, არ ვფიქრობ ასე. მე მგონია, რომ ეს უფრო თავმოუბმელობის ბრალია. დაუდევრობის და კომუნიკაციის არ ქონის. მე ეს შეგნებული ბოიკოტი არ მგონია. რასაკვირველია, კარგი არც ეს არის.

***– რას იტყვით დასანქცირებულ მოსამართლეებზე? ხელისუფლებისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი, მაგრამ ასე არ მოხდა. გამოვიდა პრემიერი და ომახიანად განაცხადა, ვამაყობ ჩემი მოსამართლეებითო. ვერ გაიგეს ვერაფერი რა მოხდა? მურუსიძით ამაყობს ღარიბაშვილი?***

– იამაყოს ახლა, რა ვქნათ. სწორედ თავისი სიმამრი გაამტყუნა იმ მოსამართლემ. გასაგებია, რომ სასამართლო არის ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნული ძალაუფლების მთავარი ერთ-ერთი საყრდენი. ამიტომ ის კბილებით ჩაეჭიდება და რომ იტყვიან, ბოლომდე იბრძოლებს ამისთვის, რამდენი სანქციაც არ უნდა დაადონ. სანამ ეს ხელისუფლებაა, ეს სულ ასე იქნება. ის შეეცდება, რომ ყველანაირად ეჭიროს ხელში ეს სასამართლო. ბიძინა ივანიშვილის მმართველობის სტილში, სასამართლო და პროკურატურა ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია. ასევე უშიშროება. ამ სამ რალაცაზე დგას – სასამართლო, პროკურატურა, უშიშროება. ეს უნდა ჰყავდეს სრულ კონტროლში პირადად მას. თუ აქედან ერთი რგოლი ჩავარდნილია, განსაკუთრებით სასამართლო, თუ სასამართლოს ველარ აკონტროლებს, ჩათვალეთ, რომ ველარ აკონტროლებს ვერაფერს. სასამართლო ჰყავს კონტროლის ქვეშ და ასე მართავს ყველაფერს. სასამართლოს კი სწორედ ამ კლანის მეშვეობით აკონტროლებს. რამე რომ სჭირდება, სწორედ ამ ხალხს ავალებს. დაურეკავს მურუსიძეს და ჩინჩალაძეს და ეტყვის, მომიგვარე ეს საქმე. ისიც უგვარებს. სხვა მხრივ ივანიშვილი არ ერევა სასამართლო სისტემაში. თუ ეს მის პირად და პოლიტიკურ ინტერესებში არ შედის, ისე არ აინტერესებს. ამიტომ ამას არ დათმობს ბიძინა. მე ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. შეიძლება გადაყვეს კიდეც თავის ხელისუფლებიანად. ეს მისთვის იგივეა, რომ ძალაუფლება დათმოს.

***– პირადად ივანიშვილსაც ხომ არ ემუქრება სანქციები?***

– არა მგონია, სანქციები ემუქრებოდეს. თუ მას რამე დაემუქრება, ეს გაცილებით უარესია, ვიდრე უბრალოდ სანქციებია. ეს ნიშნავს, რომ ის უკვე ძალიან დიდ თამაშშია შესული. მაინცდამაინც დიდი სურვილი ამის, მას რომ ჰქონოდა, არ მგონია, მაგრამ აქ პრაქტიკულად მიმდინარეობს მსოფლიოს ახალი ტერიტორიული გადანაწილების პროცესი. საქართველოც და სამხრეთ კავკასიაც, ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ძალიან მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ თავიანთ ინტერესების სფეროში დატოვონ. რუსეთს ასევე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ახალი საბჭოთა კავშირი ან რალაც ეგეთი ალადგინოს. აქ უკვე ჩვენი არჩევანია, თუ ჩვენ არ გვინდა დასავლეთი, მაშინ აღმოვჩნდებით რუსეთის გავლენის სფეროში. ხოლო თუ რუსეთი არ გვინდა, მაშინ დასავლეთში უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი. ყველა ნორმალური ქართველისთვის, აქ არჩევანიც არ დგას და, რა თქმა უნდა, დასავლეთი გვინდა. ეს არის უსაფრთხოება, ეს არის თავისუფლება და ეს არის კეთილდღეობა. ევროპა ამას ნიშნავს. რუსეთი რასაც ნიშნავს, ვიცით.

***– არავინ გაუშვებს ივანიშვილს თავის ნებაზე?***

– თუ ივანიშვილი თავის თამაშებს გააგრძელებს, მას ძალიან სასტიკად მიხედავენ, თანაც ისე, საერთოდ აქ ოპოზიციამ არაფერი რომ არ გააკეთოს. არავინ არ დაუშვებს აქ, ერთი თავკერძა ახირებული მილიარდერის პარპაშს. ამას პირდაპირ გეუბნებით. ამის ვარიანტი არ არის. მე არ გამოვრიცხავ, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც პუტინზე გაიცა დაპატიმრების ორდერი, ისე გაიცეს ბიძინა ივანიშვილზე! შეიძლება პუტინს ვერ იჭერენ, მაგრამ ბიძინას დაჭერა არ გაუჭირდებათ. ამას ვამბობ აბსოლუტურად სერიოზულად. რასაც ეს კაცი აკეთებს, ეს არაფერში არ ჯდება. მას, ეტყობა, არა აქვს გაცნობიერებული, რა საფრთხე ელის.

***– საფრთხე სერიოზულია?***

– აბსოლუტურად! რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. ასე სად არის, ახლა მსოფლიოს ზესახელმწიფოების ჭიდილში, შენ ასე ორივეს დააჯდე თავზე? ასე არ ხდება. საკუთარ შესაძლებლობებს ცოტა ობიექტურად უნდა შეხედოს. ცოტა აზრზე უნდა მოვიდეს, ამ პროცესებში ადეკვატური იყოს, თორემ მერე ნახავს, რა არის ზეწოლა.

# ბადრი ჯაფარიძე: „იმედგაცრუება მაქვს, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებული მსჯავრდებულების სიაში გვარამია არ არის“



– გარკვეული იმედგაცრუება მაქვს, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებული მსჯავრდებულების სიაში ნიკა გვარამია არ არის – ნიკა გვარამიას შეწყალება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რომ მართლა დაიწყოს ქვეყანაში დეპოლარიზაციის პროცესი, – ამის შესახებ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, თუ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას შეწყალების გადაწყვეტილებას მიიღებს, ძალიან პოზიტიური ფაქტორი იქნება იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისკენ და საზოგადოების გამთლიანებისკენ წავიდეთ.

– მე ვერ გეტყვით, რატომ ვერ შეიწყალა. გარკვეული იმედგაცრუება მაქვს, რომ ამ სიაში არ არის. მე ვფიქრობ, ეს იქნებოდა ძალიან კარგი ნაბიჯი პრეზიდენტის მხრიდან, მაგრამ ჩვენ ვიცით მისი განცხადებები, რომ ის არ მიიღებს გადაწყვეტილებას ზეწოლის ქვეშ, ან გარედან რალაც ჩარევის შემთხვევაში. ეს მან ნათლად განაცხადა. რა თქმა უნდა, ნიკა გვარამიას შეწყალება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რომ მართლა დაიწყოს დეპოლარიზაციის პროცესი და ხელი შევუწყოთ საზოგადოების კონსოლიდაციას და წინ აღვუდგეთ საზოგადოების გახლეჩის მცდელობას, რომელსაც ყოველდღიურად აქვს ადგილი „ქართული ოცნების“ მხრიდან. სამწუხაროა, რომ ამ სიაში არ არის ნიკა გვარამია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რაც უფრო სწრაფად იქნება ეს გადაწყვეტილება მიღებული, რა თქმა უნდა, ეს იქნება ძალიან პოზიტიური ფაქტორი იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისა და საზოგადოების გამთლიანებისკენ წავიდეთ, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

შეგახსენებთ, საქართველოს პრეზიდენტმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 10 მსჯავრდებული შეიწყალა. გავრცელებული ინფორმაციით, შეწყალებულ მსჯავრდებულებს შორის „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია არ არის.

# სტრასბურში, ევროპარლამენტში სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა გადაიდო



18 აპრილს, სტრასბურში საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი გადაიდო, სადაც პრეზიდენტი ევროპარლამენტის წინაშე სიტყვით უნდა გამოსულიყო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ცნობისთვის, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებისას განაცხადა, რომ 18 აპრილს ევროპარლამენტს სიტყვით მიმართავდა.

# მექრთამეობა და მექრთამეობა ბიზნესში — საერთაშორისო რეიტინგში საქართველომ 22 საფეხურით უკან გადაიწია




კიდევ ერთი საერთაშორისო კვლევა, რომელიც საქართველოში კორუფციის მხრივ გაუარესებულ მდგომარეობაზე მიუთითებს – საერთაშორისო ორგანიზაცია „თრეის ინთერნეიშენალის“ ყოველწლიურ რეიტინგში ქვეყანამ 22 საფეხურით გადაიწია უკან.

აქცენტი გაკეთებულია მექრთამეობაზე ბიზნესში. კვლევაში საქართველო 2014 წლის მონაცემებით მე-11 ადგილზე იყო, 2022 წელს კი – 33-ე ადგილზე.

ორგანიზაცია ბიზნესის სფეროში არსებულ კორუფციულ პრობლემებს შეისწავლის, კერძოდ ისეთ სფეროებს:

როგორიცაა მექრთამეობა, ხელისუფლებასთან საქმიანი ურთიერთობა და კორუფციული რისკების ალკვეთა.

კვლევაში ნათქვამია, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვან გარიგებებს კონკრეტულ კომპანიებთან ქრთამის სანაცვლოდ დებს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია პარლამენტში „ქართული ოცნების“ მოედანზე თამაშობს“

## ლევან ალაფიშვილი: „დღეს პოლიტიკური სპექტრი ყველა მიმართულებით ღრმა კრიზისშია“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, კეზერაშვილის პრობლემა რამდენად არის ოპოზიციის პრობლემა? ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ ისედაც ნიჰილისტურად განწყობილ ამომრჩეველზე რა გავლენას იქონიებს?***

– კონკრეტული სახელი და გვარი ისედაც ავადმყოფ პარტიულ სისტემას არც არაფერს მატებს და არც არაფერს აკლებს. როდესაც ისეთი დაფინანსების სისტემა გვაქვს, როგორიც გვაქვს, როდესაც პარტიული სისტემა ასეთი კორუფციულია, როდესაც შემოწირულობების ასეთი მავნე ტრადიცია არსებობს, ამაზე მეტი უარესი რაღა უნდა იყოს. მძიმე ავადმყოფს თავისი დაავადების გარდა, სხვამ რა უნდა ავნოს. ამ დღეშია მმართველი პარტიაც და ოპოზიციური პარტიებიც.

***– 2024 წელს სერიოზული არჩევნებია, როგორი შეიძლება იყოს საერთაშორისო პარტნიორების დამოკიდებულება? საკვანძო არჩევნების დროს, მაგალითად, 2012 წელს ამერიკამ სააკაშვილს ურჩია, დროა ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარებისო.***

– დიახ, თქვენ სააკაშვილის პერიოდი გაიხსენეთ, მე შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდს გავიხსენებ. როდესაც ბეიკერი ჩამოვიდა და ზუსტად ანალოგიური ურჩია. მაშინ შევარდნაძემ ეს რჩევა არ შეისმინა და რევოლუციაც მიიღო. ასე ხდება ხოლმე, როდესაც ღირებულ რჩევაზე უარს ამბობ.

2011 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაუფლების ერთ ხელში კონცენტრირების სწორედ მის უზურპაციას ემსახურებოდა, მაგრამ დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებები, ძალაუფლების წყაროს – ხალხის სურვილი შეახსენეს მაშინდელ მმართველს და უთხრეს, დროა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების.

***– ახლა არის მსგავსი რეკომენდაცია მოსალოდნელი?***

– რასაკვირველია, როდესაც დასავლეთი დემოკრატიული განვითარების ხაზიდან გადახვევას ხედავს, ის გვაძლევს ასეთ რეკომენდაციებს. როდესაც ძალაუფლების ჩაბღაუჭება ხდება და არა და არ ეთმობათ, მაშინ ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების რეკომენდაცია აქვთ მეგობარ, პარტნიორ სახელმწიფოებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებს და ამაში უცნაური არაფერია. რომ არ მოხდეს ის, რაც დემოკრატიულ პროცესს ჩიხში შეიყვანს, რასაც ძალაუფლების უზურპაცია ჰქვია.

ვფიქრობ, ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული საარჩევნო კანონმდებლობისა და სასამართლო სისტემის რეფორმირების საკითხზე. თუ ეს ორი საკითხი მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება, მაშინ ასეთი რეკომენდაცია გარდაუვალი იქნება.

***– საპარლამენტო არჩევნებისთვის დღეს არსებული პოლიტიკური მოზაიკა შეიძლება შეიცვალოს? არის მოსალოდნელი ახალი მოთამაშეების გამოჩენა ან პარტიებიდან ჯგუფების გამოყოფა?***

– დღეს პოლიტიკური სპექტრი ყველა მიმართულებით ღრმა კრიზისშია. ეს ეტყობა როგორც მმართველ ძალას, ისე, ცხადია, ოპოზიციურ ფლანგს. არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ შეგუებულია 2024 წლისთვის კოალიციურ მმართველობას, რაც არის კიდეც საპარლამენტო მოდელში კონსტიტუციური მოცემულობაც.



***– კოალიცია ვისთან?***

– მთავარი კითხვაც ეს არის – ვისთან? რატომ გამოეყო „ქართულ ოცნებას“ „ხალხის ძალა“?! რა როლი და ფუნქცია აქვთ მათ?! გვახსოვს, თავის დროზე, როგორ თანამშრომლობდნენ „პატრიოტთა ალიანსთან“, მერე, ისინი როგორ ჩაანაცვლეს პარლამენტში ე.წ. ევროპელმა სოციალისტებმა. ყველა ხვდება, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფები დამოუკიდებლად არ მოქმედებენ. შესაბამისად, ყველამ იცის, რა არის ამ თამაშის მიზანი და დანიშნულება.

„ქართული ოცნება“ ძირითადად ამ ჯგუფებით საკუთარი ძველი მხარდამჭერების მობილიზებას ახდენს და სწორედ ამ გზით შეეცდება, კიდევ ერთხელ მოიპოვოს ძალაუფლება და შექმნას კვაზი კოალიცია, მოჩვენებითი კოალიცია.

რაც შეეხება ოპოზიციურ ფლანგს, ძალიან რთულია 5%-იანი საარჩევნო ბარიერის პირობებში საუბარი იმაზე, რომ მათ შეძლონ გარღვევა და „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადაყვანა. თან იმ ფონზე, როდესაც ამომრჩევლის 60% გადაუწყვეტელია და არც ერთი პოლიტიკური ძალა არ არის მისთვის მისაღები.

დღეს მმართველი პოლიტიკური ძალა ორი მიმართულებით თამაშობს. ერთი – საკუთარი ამომრჩევლის კრისტალიზაციაზე, შემობრუნებაზე და მეორე – ოპოზიცია გადაიყვანოს ურთიერთდაპირისპირებისა და კინკალობის რეჟიმში. ამ ფონზე, როგორ წარმოუდგენია ოპოზიციას საკუთარი მომავალი, რთული სათქმელია. ოპოზიციამ ვერ შეძლო პარლამენტში პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა. რაც, სულ მცირე, ალტერნატიული კანონპროექტების დაინიცირებით შეეძლო. სამწუხაროდ, იმ მოედანზე თამაშობენ, რომელზეც თამაშობს „ქართული ოცნება“.

# მიხეილ სარჯველაძე: „არასერიოზულია, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხელისუფლებას შეუძლია ბიბისის რაღაც გააკეთებინოს, რათა რიკოთის საკითხი გადაფაროს“

– თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ბიბისის რაღაც უთხრას და გააკეთებინოს, რომ რიკოთთან დაკავშირებული საკითხი გადაფაროს, ეს მგონი, არასერიოზულად გამოიყურება – უხერხული მოსასმენი იყო ოპონენტების განცხადებები, – ამის შესახებ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ბიბისის სტატიას თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით.

როგორც მან აღნიშნა, კეზერაშვილთან თანამშრომლობა რომ უხერხულობას ქმნის, ამის თაობაზე ოპონენტების განცხადებებს ეთანხმება, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ უხერხულობის აღმოფხვრა, დროებითი დისტანცირებით შესაძლებელი არ არის და მნიშვნელოვანია ისიც, რომ კეზერაშვილთან კითხვები დიდი ხანია არსებობს.

– უხერხულობის განეიტრალება, არ მგონია, შესაძლებელი იყოს იმ გზით, რომ პერიოდულად ვინმე დისტანცირდეს კეზერაშვილისგან და მერე ისევ გაერთიანებას ცდილობდეს, რადგან ეს არ არის პირველი და ერთადერთი ამბავი, რომლის გამოც კეზერაშვილის სახელი დისკრედიტებულია და, შესაბამისად, მასთან რომელიმე ჯგუფის თუ მედიასაშუალების ასოცირება არცთუ ისე სანაქებოდ ითვლება. ასეთ პირობებში დაპაუზებული ურთიერთობა არ იქნება გამოსავალი. კეზერაშვილის მოღვაწეობა რას უკავშირდება, უფრო და უფრო მეტს იგებს საზოგადოება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს უმნიშვნელოა, ეს მისი პრობლემაა.

მეორე მხრივ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ბიბისის რაღაც უთხრას და გააკეთებინოს, რომ რიკოთთან დაკავშირებული საკითხი გადაფაროს, მგონი, ესეც არასერიოზულად გამოიყურება. ვფიქრობ, ცოტა არაორგანიზებულიც იყო ოპონენტების ეს განცხადებები. უცნაური და უხერხული მოსასმენი იყო, რომ ბიბისის გამოძიება, რომელიც ერთი წელია მიმდინარეობს და შედეგამდე მივიდნენ, ოღონდ მარტო ბიბისი არ მუშაობდა ამაზე, რამდენიმე ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურები მუშაობდნენ, ცოტა ხნის წინ საქართველოს სამართალდამცავმა სტრუქტურამ ისაუბრა ამაზე და ამ



ფონზე, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ეს მოახერხა, რიკოთის გადასაფარად გააკეთა, მგონი, ცოტა არასერიოზულია, – განაცხადა სარჯველაძემ.

# პოლონეთის ვიცე-პრემიერი: „ვცდილობთ, გამოვიყვანოთ პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოდან“



პოლონეთი მზადაა ჰუმანიტარული მიზნებით ჩაერთოს მიხეილ სააკაშვილის საქმეში და მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენაში, – განცხადებას „მთავარ არხთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პოლონეთის ვიცე-პრემიერი, იაცეკ საშინი აკეთებს, რომელსაც ასევე გადაეცა „პრომეთეს“ ჯილდო.

– ეს საკითხი ჩვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი და ძალიან ბევრი პოლონელი დაინტერესებულია სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით. გვახსოვს, რა ურთიერთობაში იყო ლეხ კაჩინსკისთან. გვახსოვს, როგორი კარგი დამოკიდებულება და დიდი სიმპათია აქვს პოლონეთისა და პოლონელების მიმართ. არის ჩვენთვის ახლობელი. არის ადამიანი, რომლითაც დაინტერესებული ვართ და დღეს ძალიან ბევრი პოლონელი პოლიტიკოსი გამოდის საერთაშორისო არენაზე ამ საკითხით. ვცდილობთ, გამოვიყვანოთ პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოდან, რომ მიეცეს მკურნალობის საშუალება. ვთავაზობთ მკურნალობას პოლონეთში. მზად ვართ, ნებისმიერ წუთს მივიღოთ და გავაკეთოთ ყველაფერი მისი ჯანმრთელობისთვის. პარლამენტარები და სხვადასხვა პოლიტიკოსები გამოვიყენებთ ყველა ტრიბუნას, რათა ვილაპარაკოთ ამ პრობლემაზე, – ამბობს იაცეკ საშინი.

ცნობისთვის, განცხადება ვიცე-პრემიერმა იმ საზეიმო ღონისძიების შემდეგ გააკეთა, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი დაჯილდოვდა, პრიზი გული ალასანიამ ჩაიბარა.

# გიორგი ცაგარეიშვილი ოპოზიციაზე: „დასდევენ ერთმანეთს, კარდაკარ, კურორტებზე ეძებენ“

– როცა ოპოზიციის, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციის სახე ლევან ხაბეიშვილია, შედეგი ყოველთვის ფატალური და გაუგონარი იქნება, სულ იქნება გაუგებრობა, ინფანტილიზმი და ჩავარდნილი საკითხები – ამიტომაც ჩაფლავდა პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, – ამის შესახებ უმრავლესობის დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.



ცაგარეიშვილის შეფასებით, ადამიანებმა ერთმანეთის გადათვლას, პლენარულ სხდომათა დარბაზში რამდენიმე წუთით გაძლებას ვერ მოაბეს თავი და ეს აღმოჩნდა დილემა ოპოზიციისთვის, რომელსაც ქვეყნის სათავეში უნდა მოსვლა.

– გამოჩნდა, რომ ამ ხალხს ელემენტარული არითმეტიკა და 50-მდე დათვლა არ სცოდნია. მათ ჩააფლავეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. ახლა იმაზეც დარდობენ, რომ 50 ადამიანი, შესაძლოა, არც სამშაბათის პლენარულ სხდომაზე აღმოჩნდეს. ამიტომ დასდევენ ერთმანეთს კარდაკარ, საზღვარგარეთ სხვადასხვა კურორტებზე ეძებენ ერთმანეთს, ათვალიერებენ „ფეისბუქებს“, მათ ახლობლებს უკავშირდებიან, ემუდარებიან, ეხვეწებიან, რათა როგორმე შეიკრიბონ, – ასეთია დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის პოზიცია მოსამართლეებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნაზე პარლამენტის რიგგარეშე სხდომის გადადების თაობაზე.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „სირცხვილია, სადამდე მივედით“

ნაზი ჯანეზაშვილი სოცქსელში წერს:

– როგორი უხერხულია ვინმეს უთხრა, მე სანქცირებული ვარ და მოდი, შენც არ წახვიდე აშშ-ში სასწავლო ვიზიტითო. ან სოლიდარობის ეს ფორმა, როგორიცაა სასწავლო პროგრამაში არმონაწილეობა, საიდან მოიფიქრეს?



მართლა სირცხვილია, სადამდე მივედით, გამოდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და საბჭოს წევრი და გახარებული აცხადებს, 3 მოსამართლე არ მიდის სოლიდარობის ნიშნადო. დიახ, ყველაფერთან ერთად, ძალიან ბოროტები არიან საკუთარი კოლეგების მიმართ. მოსამართლეს კანონი ავალდებულებს, რომ მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე იზრუნოს, იმიტომ, რომ საქართველოს პროფესიონალი მოსამართლეები ემსახურებოდნენ, რომლებიც მუდმივად იღებენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას.

# დიმიტრი გვრიტიშვილი: „სამმა მოსამართლემ აშშ-ში სასწავლო ვიზიტით გამგზავრებაზე უარი განაცხადა“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, სამმა მოსამართლემ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლო ვიზიტით გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

გვრიტიშვილი ფიქრობს, რომ აღნიშნული მოსამართლეებისგან ეს ერთგვარი სოლიდარობის აქტია.

– მიმდინარე თვეში (22-30 აპრილის განმავლობაში) დაგეგმილია ქართველი მოსამართლეების სასწავლო ვიზიტი აშშ-ში.

ჩემთვის, როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის, ცნობილი გახდა, რომ ამ ვიზიტის მონაწილე სამმა მოსამართლემ: ნანა ჯოხაძემ, თამარ ბეჟანიშვილმა და კონსტანტინე კოპალიანმა უარი განაცხადეს გამგზავრებაზე, რის შესახებაც მათი განცხადებები ოფიციალურად არის შემოსული საბჭოში.

ჩემი მოსაზრებით, ეს არის სოლიდარობის ერთგვარი აქტი, ისევე, როგორც ეს იყო ლაშა ჩხიკვაძის შემთხვევაში (როცა ასევე, რამდენიმე მოსამართლემ უარი თქვა ანალოგიურ ვიზიტში მონაწილეობასა და გამგზავრებაზე), რადგან აშშ-ის წარმომადგენელთა მხრიდან სახეზეა აშკარად უსამართლო და დამამცირებელი მიდგომა ქართველი მოსამართლეების მიმართ, – წერს დიმიტრი გვრიტიშვილი საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე.

ცნობისთვის, აშშ მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ვალერიან ცერცვაძეს სანქციებს უწესებს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადების თანახმად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ირაკლი შენგელიას და ვალერიან ცერცვაძის საჯარო სანქცირებას ახდენს, ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(ც) წესის საფუძველზე, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო.

# „ომი უკრაინაში რუსეთმა დიდი ხნის წინ დაგეგმა“

მარიამ მჭედლიშვილი



რატომ აძლევს კრემლი ბევრის უფლებას ჩეჩნეთის ხელმძღვანელს? აკონტროლებს თუ არა მოსკოვი მას ბოლომდე? რატომ უნდა აგონ პასუხი ომის გამო სხვა რუსებმაც? რა სპეციფიკა აქვს ჩეჩნეთის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ? როგორ უნდა მოექცეს უკრაინელებს საკუთარი ხელისუფლება? — ამ საკითხებზე უკრაინულ მედიასთან მსჯელობს ჩეჩნეთის დიასპორის (საფრანგეთში) ცნობილი წარმომადგენელი მუსა ტაიპოვი. მის ახლანდელ თანამდებობას ეწოდება „რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებული ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის პრეზიდიუმის წევრი“.
შეგახსენებთ, რომ შარშან უკრაინის პარლამენტმა ჩეჩნეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარა.

**მუსა ტაიპოვი:**

— იჩქერია კავკასიის უმნიშვნელოვანესი რეგიონია. თუ ჩეჩნეთში სიმშვიდეა, მთელი კავკასია დამშვიდებულია. თუ არაა სიმშვიდე, მაშინ მთელი კავკასია დუღს. ამის გამო, იმას, ვინც ჩეჩნეთის ხელისუფლებაშია, ათასგვარ პრეფერენციებს შესთავაზებენ (მოსკოვიდან), რათა იქ სიტუაცია გაკონტროლდეს. კადიროვი არც გონიერია და არც განათლებული, თუმცა ის ინტუიციით მოქმედებს. შესაძლოა, მას კარგი მრჩევლები ჰყავს. ისიც არ გამიკვირდება, რომ კადიროვმა ან პრიგოჟინმა პუტინი შეცვალონ.

***— თვითონ კადიროვს თუ აქვს ასეთი ამბიციები და შეიძლება თუ არა, რომ ამგვარი გეგმა ჰქონდეთ რუსეთის სპეცსამსახურებს?***

— მათი მთავარი ამოცანა ამ იმპერიის შენარჩუნებაა. რუსეთი დემოკრატიული რომ გახდეს, ყველა აქეთ-იქით გაიფანტება. შესაბამისად, შესანარჩუნებელია ვერტიკალი. ეს შესაძლებელია მხოლოდ ტოტალური კონტროლით. ვინც ამას უზრუნველყოფს, ხელისუფალიც ის იქნება.

***— თქვენი თქმით, კრემლისათვის ყველაზე მთავარი ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის შენარჩუნებაა. არიან თუ არა მზად სპეცსამსახურები დაეხმარონ კადიროვის ვაჟს? ცნობილია, რომ მას კადიროვის მემკვიდრედ თვლიან?***

## „კორუფციის საკითხი ომის დროს სხვანაირად უნდა წყდებოდეს. კორუფციონერებს ბრძოლის წინა ხაზზე უნდა უშვებდნენ“

— სიტუაცია ჩვენთან დამოკიდებულია ვითარებაზე თვითონ რუსეთში. ბევრ რამეს განაპირობებს ომი უკრაინაში. ვერ ვიტყვი, რომ სპეცსამსახურები სრულად აკონტროლებენ სიტუაციას — საქმეში ერთვება ხოლმე შემთხვევა. იუსუფ თემირხანოვმა მოკლა მოძალადე პოლკოვნიკი ბუდანოვი. იუსუფ თემირხანოვმა (გაგალოვმა) შური იძია რუს პოლკოვნიკზე, რომელმაც გაიტაცა და მოკლა 18 წლის ჩეჩენი გოგო. მოძალადე პოლკოვნიკი ვადამდე გაათავისუფლეს. ანგარიშსწორება მაშინ მოხდა. თემირხანოვს ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში გმირად აღიარებენ. მის (თემირხანოვის) გასვენებაში მილიონობით ადამიანი შეიკრიბა მთელი კავკასიიდან. ხელისუფლებას მაშინ შეეშინდა.

ასე რომ, ყველაფერი შესაძლებელია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ამზადებენ რამზან კადიროვის მემკვიდრედ — მის ვაჟს, შვილიშვილს თუ ქალიშვილებს. ჩეჩნურ მენტალიტეტში ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემა არ ზის. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარედან დახმარებით. თუ საგარეო მხარდაჭერა შესუსტდება, რეჟიმიც აღარ იქნება. რეჟიმი რუსეთის ხიშტებსა და ფინანსებს ეყრდნობა.

კოლექტიური პასუხისმგებლობის მომხრე არა ვარ, მაგრამ ამ ომში (უკრაინის ომში) დამნაშავეა რუსეთი, როგორც სახელმწიფო. გერმანიაშიც იყვნენ კარგი გერმანელები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დენაციფიკაციის პროცესი ყველამ გაიარა, ყველამ მოინანია. თუ რუსეთში ეს არ მოხდა, მომავალშიც მსგავსი ექსცესები გველის. საინტერესოა, რაზე ფიქრობენ „კარგი რუსები“, რომლებიც ევროპაში დასეირნობენ?

***— ალბათ, იმაზე, რომ ყველაფერი დასრულდება და ისინი ძველებურად იცხოვრებენ?***

— მათ მხოლოდ ის ეწყინათ, რომ ვარცლს ჩამოაცილეს (სარგებელს ჩამოაშორეს). ყველაფერ დანარჩენს ეს რუსები ეთანხმებიან. მათ გული იმაზე ეტკინათ, რომ უკრაინა „სამ დღეში“ ვერ აიღეს.

***— რუსეთის ფედერაციაში არიან რესპუბლიკები, რომლებიც ოცნებობენ სუვერენიტეტზე. ასეთებად სახელდებიან იჩქერია და ბურიატია. კიდევ რომელმა რესპუბლიკებმა შეიძლება გამოთქვან ამის სურვილი?***

— ისტორიას შეგახსენებთ. სსრკ-ს დაშლის მომენტისათვის იჩქერია უკვე მოკავშირე რესპუბლიკა იყო. 1990 წლიდან ჩვენ არანაირი ურთიერთობა აღარ გვქონდა რფსრ-სთან (რუსეთის ფედერაციის საბჭოთა რესპუბლიკასთან). სხვა რესპუბლიკებმა მაშინ ხელი მოაწერეს ფედერაციულ ხელშეკრულებას და რსფსრ-ს მაგივრად გაჩნდა რუსეთი.

ჩვენ ვართ სუვერენული რესპუბლიკა ოკუპაციის მდგომარეობაში. ისეთივე სამართლებრივი სტატუსი გვაქვს, როგორც უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანსა და ყველა დანარჩენს.

***— პუტინის ხელისუფლებიდან ჩამოცილება დააჩქარებს თუ არა ომის დამთავრების პროცესს?***

— საქმე პუტინში არ არის. ეს ომი დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ სსრკ-ს დაშლის მომენტიდან. მისი მიზანი იყო უკრაინის დაბრუნება რუსეთის ფედერაციის წიაღში. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ რაღაც წვრილმანებზე, არადა, მთავარი იმპერიული არსია.

***— როგორ უნდა ებრძოლოს უკრაინა რუსეთის იმპერიულობას?***

— პატიოსნებით. ხალხთან მართალი უნდა იყო. არ უნდა გასცე ტყუილი დაპირებები. საჭიროა პატიოსანი, ობიექტური საუბარი. ხალხს უნდა უთხრა, რომ ომი თუ წავაგეთ, ქვეყანა აღარ გვექნებაო.

ხალხს მართალი სიტყვა უნდა უთხრა, კორუფციის საკითხი კი ომის დროს სხვანაირად უნდა წყდებოდეს. მაგალითად, კორუფციონერებს ბრძოლის წინა ხაზზე უნდა უშვებდნენ.

# სალომე ზურაბიშვილმა 10 მსჯავრდადებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 10 მსჯავრდადებული შეიწყალა.

ადმინისტრაციის ცნობით, 5 მსჯავრდადებული სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. 3 მსჯავრდადებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა, ხოლო 2 მსჯავრდადებული სრულად გათავისუფლდა პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან.

# თბილისი-ბათუმის დამაკავშირებელი ავტობანის ნაწილი პარალიზებულია



თბილისი-ბათუმის დამაკავშირებელი ავტობანის ნაწილი პარალიზებულია. სამტრედიდან ლანჩხუთამდე მიმავალი გზა ჩაკეტეს. მიზეზი დაზიანებული გზის საფარია. ავტობანის ჯერ არ გახსნილ ნაწილზე ხიდი დაიბზარა. გზის მეორე ნაწილზე კი ასფალტ-ბეტონის საფარი აიყარა.

ამ გზის მშენებლობისთვის მთავრობამ მილიონები დახარჯა, თუმცა ძვირადღირებულ გზაზე ახლა ავტომანქანების ნაცვლად შინაური ცხოველები დადიან. რთული ვითარებაა შემოვლით გზაზეც, სადაც სატვირთოებს გადაადგილების შეზღუდვა დაუწესეს, რის გამოც კოლაფსი შეიქმნა.

# ბოლო ერთ წელში რუსებმა საქართველოში 8 ათასზე მეტი ბინა იყიდეს



2022 წელს საქართველოში რეალიზებული უძრავი ქონების თითქმის მეხუთედი უცხოეთის მოქალაქეებმა შეიძინეს. საუბარია 15.000 ბინაზე, რომლებიც უცხოეთის 10.6 ათასმა მოქალაქემ იყიდა.

სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი, 6,062 ბინა რუსეთის მოქალაქეებმა შეიძინეს, ინფორმაციაში არაა დაკონკრეტებული, რამდენი მათგანი იყო ამავდროულად საქართველოს მოქალაქეც.

უცხოეთის მოქალაქეთა მიერ 2022 წლის განმავლობაში შესყიდული ბინების რაოდენობა ასე ნაწილდება:

1. რუსეთი — 6.062 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 4.520 ადამიანი;
2. ისრაელი — 1.892 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 1.263 ადამიანი;
3. უკრაინა — 1.321 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 880 ადამიანი;
4. ირანი — 650 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 382 ადამიანი;
5. თურქეთი — 473 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 307 ადამიანი;
6. ბელარუსი — 446 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 371 ადამიანი;
7. გერმანია — 424 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 325 ადამიანი;
8. აშშ — 376 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 246 ადამიანი;
9. ყაზახეთი — 294 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 237 ადამიანი;
10. სომხეთი — 285 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 203 ადამიანი.

2023 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, უცხოეთის მოქალაქეებმა 5,159 ბინა შეიძინეს, აქედან რუსეთის მოქალაქეებმა 2,187 ბინა იყიდეს.

უცხოეთის მოქალაქეთა მიერ 2023 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში შესყიდული ბინების რაოდენობა ასე ნაწილდება:

1. რუსეთი — 2.187 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 1.679 ადამიანი; 2. ისრაელი — 671 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 472 ადამიანი; 3. უკრაინა — 520 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 344 ადამიანი; 4. ბელარუსი — 164 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 135 ადამიანი; 5. თურქეთი — 143 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 102 ადამიანი; 6. ირანი — 129 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 102 ადამიანი; 7. პოლონეთი — 127 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 89 ადამიანი; 8. გერმანია — 112 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 88 ადამიანი; 9. ყაზახეთი — 105 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 89 ადამიანი; 10. სომხეთი — 93 ბინა, მყიდველთა რაოდენობა 79 ადამიანი.

2. ცნობისთვის, მონაცემებს BM.GE ავრცელებს და წერს, რომ იუსტიციის სამინისტროდან აღნიშნული ინფორმაცია სადეპუტატო კითხვის სახით ხათუნა სამნიძემ გამოითხოვა.

სამართალი

# რა ღირებული ინფორმაცია აქვს სოსო გოგაშვილს სასამართლო კლანზე



„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე ამბობს, რომ 7 თვის წინ, როდესაც ის სოსო გოგაშვილს ოჯახის თხოვნით შეხვდა, სუსის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მას გაუმხილა, რომ სასამართლოში არსებულ უკანონო ქმედებებზე ღირებულ ინფორმაციას ფლობდა და ამაზე საუბარს აპირებდა.

სწორედ ამიტომ, მანჯგალაძე ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ ამ საკითხთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომისიის ფარგლებში, სოსო გოგაშვილიც გამოიკითხება.

— შვიდი თვის წინ სოსო გოგაშვილს შევხვდი ოჯახის თხოვნით. გოგაშვილიც ამბობდა, რომ ფლობს ღირებულ ინფორმაციას სასამართლოში არსებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, აპირებდა საუბარს ამ საკითხზე. პატიმართან დაკავშირებით ასეთი რამე ხდება, ადვოკატის საშუალებით ხდება კითხვების დასმა საგამოძიებო კომისიის მიერ, ადგილზე ადვოკატი სვამს ამ კითხვებს და შემდეგ უკან ბრუნდება პასუხებით, ასეთი მექანიზმი არსებობს, — ამბობს პაატა მანჯგალაძე.

სასამართლო სისტემის შემსწავლელი საგამოძიებო კომისია შეიქმნება. დეპუტატები, რომლებმაც კოლეგებთან სათითაოდ დარეკვის და მათი პარლამენტში მობილიზების პასუხისმგებლობა აიღეს, ამბობენ, რომ ამ ეტაპზე საკმარისი რაოდენობის ხმების მოგროვება შესაძლებელია და მათი ინფორმაციით სამშაბათს, სხდომათა დარბაზში ყველა შევა.

# ბაღდადში მომხდარი მკვლელობის და დაჭრის ფაქტი პოლიციამ გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ. დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ფინანსური დავის გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შედეგად, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ს.გ.-ს, ხოლო 2002 წელს დაბადებული გ.მ. დაჭრა. პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.კ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# მარნეულში მანქანა, რომელსაც პოლიცია აედევნა, ხიდზე ამობრუნდა, არიან დაკავებულები

შინაგან საქმეთა სამინისტროში „მთავარ არხს“ განუცხადეს, რომ მარნეულში, სოფელ დაშტაფაში მომხდარ ინციდენტში მონაწილე სამი პირი — მანქანის მძღოლი და ორი მგზავრი დაკავებულია.



შემთხვევა 11 აპრილს მოხდა. არსებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციამ ერთ-ერთი მსუბუქი ავტომობილის მძღოლს მანქანის გაჩერება მოსთხოვა, მძღოლი, რომელიც, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იყო, სამართალდამცავის მოთხოვნას არ დაემორჩილა და მოძრაობა გააგრძელა.

მანქანა, რომელსაც პოლიცია აედევნა, ხიდზე ამობრუნდა. ამის შემდეგ ადგილობრივებმა პოლიციის მანქანას ქვები ესროლეს.

ინციდენტის შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა პოლიციის დამცველ ადგილობრივებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის.

# სპეციალური საგამოძიებო სამსახური: 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებიდან 123 შეტყობინება შემოვიდა

გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე, რომელიც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტებს.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე, სხვადასხვა უწყებიდან ჯამში 123 შეტყობინება შემოვიდა, რომელიც აქციის მონაწილეების და ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დარღვევას ეხებოდა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შემოსულ შეტყობინებებთან დაკავშირებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მყისიერად დაიწყო.

გამოძიება ცალკე ეპიზოდად მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, 2023 წლის 8 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოძიების შესწავლის საგანს ასევე წარმოადგენს მასმედიით გავრცელებული ვიდეოკადრების მონიტორინგის შედეგად სამსახურის მიერ გამოვლენილი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან სხვადასხვა პირის მიმართ განხორციელებული ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტებიც.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე სწრაფი სამართლებრივი რეაგირება უზრუნველყო. გამოძიების დაწყებიდან დღემდე გამოკითხულია 91 მოქალაქე (მათ შორის 19 ჟურნალისტი).

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 7 სხვადასხვა ლოკაციაზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, რა დროსაც იდენტიფიცირებულ იქნა გამოძიებისათვის საინტერესო სამეთვალყურეო ვიდეოკამერები.

მომხდარი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, სამართალდამცავების მიერ გამოყენებული ძალის შესაძლო გადამეტების საკითხის შესწავლის და ასევე გამოძიებისთვის საინტერესო ინდივიდუალურ ეპიზოდებში სპეციალური ეკიპირებით აღჭურვილი სამართალდამცავების იდენტიფიცირების და ამოსაცნობი ნიშნების დადგენის მიზნით, გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა საჯარო ინტერნეტ-სივრცეში არსებული სატელევიზიო გადაცემების ჩანაწერები, ასევე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტიდან, შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ – 112-დან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან და პარლამენტის შენობის მიმდებარედ განლაგებული სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან (საერთო ჯამში 37 ობიექტიდან) გამოთხოვილ იქნა გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც ასახულია 7-9 მარტს რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები.




ამ ეტაპისთვის მოპოვებული ჩანაწერების ჯამური ხანგრძლივობა შეადგენს 3.000-ზე მეტ საათს, რომლის შესწავლაც და საგამოძიებო ჯგუფის მიერ მათი საგამოძიებო წესით დათვალიერება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

გარდა ზემოხსენებულისა, მოპოვებულია სასამართლოს განჩინებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან და სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ – 112-დან, გამოძიებისთვის საინტერესო (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობის გარე პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერების, ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის გარე პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტომანქანების ბორტის ვიდეორეგისტრატორების და პატრულ-ინსპექტორთა სამხრე კამერების ჩანაწერები) სამეთვალყურეო და სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე, რომელიც გადაგზავნილია აღნიშნულ დაწესებულებებში და მიმდინარეობს ჩანაწერების მომზადება. ასევე, მოპოვებულია სასამართლოს განჩინებები 7 ტელეკომპანიიდან აქციის მიმდინარეობისას გადაღებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოთხოვის ნებართვის თაობაზე; კერძო პირთაგან გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეოჩანაწერების გამოთხოვისა და სხვა ობიექტების ამოღების თაობაზე, რომლებიც ასევე არის შესრულების პროცესში. ზემოხსენებული ვიდეოჩანაწერების და მასალების საპროცესო წესით სისხლის სამართლის საქმეში დამაგრების შემდეგ, საგამოძიებო ჯგუფი მოახდენს მათ დეტალურ შესწავლას და დათვალიერებას.

ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის ეპიზოდთან დაკავშირებით გამოძიებით გამოირკვა, რომ შემთხვევის ადგილზე განთავსებული საჯარო დაწესებულების სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩამწერი მოწყობილობა იყო დაზიანებული და მასზე წვდომა ტექნიკური მიზეზების გამო იყო შეუძლებელი.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურიდან ამოღებული იქნა აღნიშნული ჩამწერი მოწყობილობა, რომელზეც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა, მოწყობილობის დაზიანების მიზეზების დადგენის, მასში არსებული ჩანაწერების მოპოვების (მათ შორის, აღდგენის გზით) და გამოძიებისთვის საინტერესო სხვა გარემოებების დასადგენად;

შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია აქციის მონაწილეების დამკავებელი და ოპერაციაში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ვინაობის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამართალდამცველების გამოკითხვა.

მოწმეთა ბაზის შექმნის და დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით:

სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან“ გამოთხოვილია ინფორმაცია სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფის იმ თანამშრომელთა ვინაობის შესახებ, ვინც 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (აქციასთან დაკავშირებით) ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას;

სასამართლოს განჩინების საფუძველზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან“ მიმდინარეობს იმ პირთა სამედიცინო ბარათების ამოღება, ვისაც 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაეწია სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიმდინარეობს ადმინისტრაციული დაკავების ოქმებისა და შედგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის გამოთხოვა.

კერძო კლინიკებიდან გამოთხოვილია ინფორმაცია იმ პირთა სამედიცინო დოკუმენტაციის თაობაზე, რომელთაც 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შემდეგ გაეწია ამბულატორიული/სტაციონარული სამედიცინო დახმარება; დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. მათ შორის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაენიშნათ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს (პირადი წარდგენით) და ნიკა მოსიაშვილს (სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე).

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, ასევე აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება აქციაზე დაშავებული ზაზა ბილიაშვილის ეპიზოდთან დაკავშირებით.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოძიებისთვის საინტერესო გარემოებების დადგენა, დაზუსტების მიზნით ორჯერ გამოიკითხა ზაზა ბილიაშვილი;

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ზაზა ბილიაშვილის მიმართ დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ფარგლებშიც, ობიექტური შემოწმების მიზნით, ექსპერტის წინაშე პირადად იქნა წარდგენილი და შემოწმებული იგი;

სხვადასხვა ლოკაციაზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია;

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს საჯარო ინტერნეტ-გვერდიდან მოპოვებული და სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სხვადასხვა კერძო და საჯარო ობიექტებიდან გამოთხოვილი ვიდეოკამერების ჩანაწერების დათვალიერება, რათა დაიდენტიფიცირდეს და დადგინდეს კონკრეტული გარემოებები, რა ვითარებაშიც ზაზა ბილიაშვილმა მიიღო დაზიანებები.

გამოძიების მიერ გამოკითხული არიან სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის ის თანამშრომლები, რომლებიც 2023 წლის 8 მარტს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით პარლამენტის მიმდინარე ტერიტორიაზე გამოცხადდნენ;

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან“ და სამოქალაქო კლინიკიდან ამოღებულია ზაზა ბილიაშვილის სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ზემოაღნიშნული საქმეების გამოძიებას ღიად და გამჭვირვალედ აწარმოებს. სამსახური 2023 წლის 7-9 მარტს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს, რომლებიც უთითებენ სამართალდამცავების მხრიდან საკუთარი უფლებების დარღვევის თაობაზე, აძლევს სისხლის სამართლის საქმეებთან წვდომის და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას. ასევე, მოქალაქეებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველის აპარატს მიმდინარე გამოძიების თაობაზე, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მიეწოდება ამომწურავი ინფორმაცია.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქტიურ რეჟიმში განაგრძობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების და დანაშაულში მხილებული პირების იდენტიფიცირების შემთხვევაში სამსახური გაატარებს კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ღონისძიებებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ.

## ზუგდიდში 14 წლის ბიჭის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, ზუგდიდში მესხიას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი დამნაშავედ ცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შოთა ბიჭაიამ გამოაცხადა. მოსამართლემ არასრულწლოვანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს სასჯელის მაქსიმალური ზომაა, რომელსაც წაყენებული ბრალდების მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ.

დაკავებულის დედა განაჩენს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა. ის გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს.

შეგახსენებთ, გასული 2022 წლის ნოემბერში, ზუგდიდში, მესხიას ქუჩის მიმდებარედ რამდენიმე ათეულ მოზარდს შორის დაწყებული დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა. 14 წლის საბა მამფორია გულმკერდის არეში ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობით საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ფაქტთან დაკავშირებით პოლიციამ ერთი პირი დააკავა, რომლის მიმართაც გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, დამამძიმებელ გარემოებაში წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობდა.

## სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლებისთვის პროკურატურამ 4 პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების, მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, 4 პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020-2021 წლებში სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტის სახელით, ბრალდებულები ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ 498 978 ლარს დაეუფლნენ.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ფლობდნენ „უმოქმედო კომპანიებს“, რომელთა სახელით დამზადებული ყალბი საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე ე.წ. დღგ-ს ფიქტიურ აქტივს ქმნიდნენ, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე არსებული საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად იყენებდნენ. ამ გზით ბრალდებულებმა სახელმწიფო ბიუჯეტს მოტყუებით, 277.823 ლარის ოდენობით ქონებრივი ზიანი მიაყენეს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თანხის დარჩენილ ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავიანთ მფლობელობაში არსებულ საბანკო ანგარიშებზე რიცხავდნენ და ანაღდებდნენ. აღნიშნულის შედეგად, ხსენებული პირები სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ 221.155 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.



სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი ორი პირი სასამართლოს განჩინების საფუძველზე 7 აპრილს დააკავეს. სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდება 4 პირს – სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქონების მესაკუთრის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანება); სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების მიზნით დამზადება და გამოყენება); 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ე.ი. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება მოტყუებით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ 2 ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით – პატიმრობა, ხოლო 2 პირს – გირაო და საზღვრის კვეთის აკრძალვა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




## ოთხმა ქართველმა ესპანეთში ბინა გაქურდა — ბრალდებულები დააკავეს

ესპანეთში 4 ქართველი დააკავეს – ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ქართველები 12 აპრილს ბინის გაქურდვის მცდელობისთვის დაიჭირეს.

სასამართლომ ოთხივე მათგანისთვის დეპორტაციისა და 8 წლით ქვეყანაში შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო

სტატიის თანახმად დაკავებულებმა სასამართლო პროცესზე დანაშაული აღიარეს. მათ სახლიდან ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, რადგან სახლის მეპატრონემ ხმაური გაიგო და პოლიცია გამოიძახა.

4 ქართველს ესპანეთის დასატოვებლად ორკვირიანი ვადა მიეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობა ემუქრებათ.

# რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელი სამხედრო ტყვე მხეცურად მოკლეს



ომი ულმობელია, განსაკუთრებით, როცა რუსები და უკრაინელები ომობენ. ასე იყო წარსულში, ასეა დღესაც.

– რუსები უკრაინას რატომღაც ამბოხებულ პროვინციად მიიჩნევენ და უკრაინის სამაგალითოდ დასჯა სურთ! განსაკუთრებით მაშინ, როცა უკრაინელები ოკუპანტებს წინააღმდეგობას უწევენ და უდიდეს ზარალს აყენებენ, – წერს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.

დღეს რუსეთ-უკრაინის ომი გადამწყვეტ ფაზას უახლოვდება. რუსების მიერ დაგეგმილი ზამთრის შეტევა ჩაიშალა. ოკუპანტებმა ვერც ბახმუტის აღება შეძლეს, ვერც ავდეევკის, მარინკის ან ლიმანის მიმართულებით მიაღწიეს რაიმე შედეგს.

ოკუპანტების განსაკუთრებული გააფთრება ბახმუტში დატრიალებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა გამოიწვია. რუსული ტელევიზიით აჩვენეს ე.წ. გათავისუფლებული ბახმუტის ცენტრი. ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა. რუს ჯარისკაცს, რომელიც „უკრაინელ ფაშისტებთან" ბრძოლის წარმატებებზე ჰყვებოდა, აფეთქებამ თავი წააცალა.

ოკუპანტების საპასუხო ნაბიჯმაც არ დააყოვნა. მათ ტყვე უკრაინელ სამხედროს თავი მოკვეთეს, ეს ვიდეოზე გადაიღეს და კადრები ინტერნეტში გაავრცელეს.

– ხოხოლურ ჯილაგს ასე დაემართება, – განაცხადა რუსმა ოფიცერმა, რომელიც სიკვდილით დასჯას ხელმძღვანელობდა.

კადრები უკრაინაში უმალ გავრცელდა და მთელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა ზელენსკიმ მსოფლიოს მოუწოდა, რომ უკრაინისადმი იარაღის მიწოდება დაჩქარდეს. ზელენსკიმ საყვედური უთხრა საფრანგეთს. როგორც ცნობილია, ოფიციალურმა პარიზმა დაბლოკა ევროკავშირის მიერ უკრაინისათვის 1 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის მიწოდება.

უკრაინელი სამხედროს მხეცურმა მკვლელობამ მთელი მსოფლიო აღაშფოთა. შესაბამისი კომენტარები გააკეთეს აშშ-ის, კანადის, არგენტინის, ბრაზილიის, იტალიის და გერმანიის პირველმა პირებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვი შეეცადა დაემალა აღნიშნული მხეცობა.

ამრიგად, მარცხისაგან გააფთრებული რუსები შუასაუკუნეობრივ მხეცობებზე გადავიდნენ. ეს კანონზომიერია. ომის ჩარხი ხომ კარგა ხანია რუსების წინააღმდეგ შემობრუნდა. ამის კომპენსირებას ოკუპანტები მხეცობებით ცდილობენ. ასე იყო 1944-45 წლებში, როცა განწირული ჰიტლერული გერმანია მართლაც საოცარ მხეცობებს ჩადიოდა.

ჰიტლერული მესამე რაიხი განადგურდა. ახლა „რუსკი მირის" ჯერია.

# აშშ სანქციებს აფართოებს




აშშ-მ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემოიღო სანქციები 120-მდე სტრუქტურის და 20-მდე იურიდიული პირის წინააღმდეგ. ამის თაობაზე იუწყება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. სანქციების შემოღების მიზეზია რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული ომი.

სანქციები შემოღებულია უმდიდრესი რუსი ოლიგარქის უსმანოვის წინააღმდეგ. აშშ-ში მას ომის უმთავრეს სპონსორად თვლიან.

# უკრაინის თავდაცვის მინისტრი თავის ამერიკელ კოლეგას შეხვდა



უკრაინის თავდაცვის მინისტრი რეზნიკოვი თავის ამერიკელ კოლეგას ლოიდ ოსტინს შეხვდა. რეზნიკოვმა კატეგორიულად მოითხოვა ავიაგამანადგურებელ ღ-12-ის გადაცემა.

ოსტინმა უკრაინისადმი სრული მხარდაჭერა და სოლიდარობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. ამავე დროს მას არავითარი კონკრეტული პირობა არ მიუცია.

# ლიტვა ჩინეთის წინააღმდეგ



ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის წინააღმდეგია. მიზეზი ჩინეთში არსებული კომუნისტური დიქტატურაა.

– გვეყო დიქტატორთა გამოკვება! ეს შემდგომში ძალიან ძვირი დაგვიჯდება! – თქვა ლანდსბერგისმა.

# მთავარი ბრძოლები კვლავ დონბასშია, კერძოდ, ბახმუტში, ავდეევკასა და მარინკაში

უკრაინაში ომი გრძელდება. ყველაზე მთავარი ბრძოლები კვლავ დონბასშია, კერძოდ, ბახმუტში, ავდეევკასა და მარინკაში. შედარებით სიმშვიდეა უგლედართან, აგრეთვე ლიმანის მიმართულებით.

ბახმუტთან რუსი ოკუპანტების წინსვლა შეჩერებულია. არ დასტურდება რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბახმუტის 80%-ის დაკავების შესახებ. ქალაქში ბრძოლები გრძელდება.

ასევე სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასა და მარინკასთან. ამაო გამოდგა რუსი ოკუპანტების მცდელობები, დაემყარებინათ კონტროლი ხსენებულ ქალაქებზე. ამავე დროს დაფიქსირდნენ რუსი მედესანტეები, რომლებიც გამოჩნდნენ როგორც ბახმუტის, ასევე ავდეევკის, მარინკის და ლიმანის მიმართულებით. მედესანტეები ბანდიტური ფორმირება „ვაგნერის" წევრებთან ერთად შეტევებს განაგრძობენ.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ ვითარება უცვლელია. რუსი ოკუპანტები თავდაცვაზე არიან გადასულნი. უკრაინელები კი უპირატესობას პარტიზანულ მოქმედებებს ანიჭებენ.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

გასული დღე-ღამის განმავლობაში უკრაინელებმა რუსი ოკუპანტების 45 შეტევა მოიგერიეს. მტერი ძირითადად ბახმუტის, ავდეევკის, მარინკის და ლიმანის მიმართულებით უტევდა.

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.646, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.053 , არტილერია – 2.777, თვითმფრინავები – 307. განადგურებულია 186.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# ავტოფარეხში ნაპოვნი ძველი ავტომობილი ნამდვილი განძი აღმოჩნდა



უელსში ავტოფარეხში ნაპოვნი ძველი ავტომობილი, უიშვიათესი Facel Vega HK 500 აღმოჩნდა.

1957 წლის გამოშვება ფრანგული Facel Vega HK 500 თავის დროის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ავტომობილად ითვლებოდა. აღნიშნული მანქანა ავტოფარეხში ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინახებოდა და თითქმის იდეალურ მდგომარეობაში იმყოფება. სავარაუდოდ, ის აუქციონზე გაიყიდება.

ავტომობილი გამოირჩევა საჭით, რომელიც მარჯვენა მხარესაა განთავსებული. ეს კი მას რარიტეტად ხდის, ვინაიდან დიდ ბრიტანეთში ასეთი მხოლოდ 96 მანქანა იქნა შეტანილი. უფრო გავრცელებული Facel Vega HK 500-ის ფასი დღეისთვის 50-60 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს, ხოლო მარჯვენასაჭიანში გაცილებით უფრო მეტის გადახდას ელიან.

აღსანიშნავია, რომ ავტოფარეხში ნაპოვნი ავტომობილი საფირმო Brunswick Blue-ის საღებავითაა შეღებილი. ასევე ხელუხლებელია მისი ნაცრისფერი ტყავის სალონიც.

სავარაუდოდ, ავტომობილი მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე დერბიშირში გამართულ აუქციონზე გაიყიდება. აღსანიშნავია, რომ ასეთ მანქანებს ფლობდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ პაბლო პიკასო და ფრანსუა ტრიუფო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

# სტუდენტი ერთი ბოთლი რომის დალევამ კომაში ჩააგდო



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა სტუდენტური საძმოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საძმოში მიღების ცერემონიის დროს ის აიძულეს, რომ ერთი ბოთლი რომი ნახევარ საათში დაელია, რის შედეგადაც ის კომაში აღმოჩნდა.

ინციდენტი საძმოს შენობა „კაპა-სიგმაში" მოხდა. დაზარალებულის, 21 წლის ბენჯამინ ბრენანის თქმით, „რიტუალის" დროს მოთხოვნა იყო, რომ ისეთი რაოდენობის ალკოჰოლი და ნარკოტიკები მიეღო, რომელიც ადამიანების უმრავლესობისთვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა. ამ ყოველივეს შედეგად სტუდენტის სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დონემ 0,489 პროცენტი შეადგინა.

ახალგაზრდა მამაკაცი უგონო მდგომარეობაში 2021 წლის 16 აპრილის საღამოდან მეორე დღის დილამდე იმყოფებოდა. როდესაც გონება დაკარგულის გონზე მოყვანა ვერაფრით მოახერხეს, სტუდენტური საძმოს ერთ-ერთმა წევრმა ბრენანი საავადმყოფოს კარამდე მიიყვანა, იქვე დატოვა და მიატოვა.

საავადმყოფოს თანამშრომლებმა ახალგაზრდა მამაკაცი უგონო მდგომარეობაში ნახეს. ის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეაერთეს. ექიმები მის მდგომარეობას უარყოფითად აფასებდნენ და თვლიდნენ, რომ მას გადარჩენის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა.

„კაპა-სიგმას" ოფისში სარჩელის მიღების ფაქტი დაადასტურეს, თუმცა მის წევრებს აღნიშნულ შემთხვევაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

# გოგონამ სპორტსმენის ნომერში შეაღწია და საცვალი მოპარა



მაგიდის ჩოგბურთში მსოფლიოს ჩემპიონის ფან ჟენდონგის განცხადების საფუძველზე, პეკინის პოლიციამ მომხდარი ქურდობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ სპორტსმენის ნომერში მისმა ფანმა გოგონამ შეაღწია და საცვალი მოპარა.

ჩინურ სოციალურ ქსელში ჟენდონგი თავის ხელმომწერებს მოუყვა, რომ მას თაყვანისმცემელი გოგონა რამდენიმე დღის განმავლობაში დასდევდა, საბოლოოდ კი სასტუმროში მის ნომერში შეაღწია და მისი საცვალი წაიღო. გოგონამ სასტუმროს ადმინისტრაციის განყოფილებიდან კარის ელექტროგასაღების მოპარვა მოახერხა. სპორტსმენის თქმით, გოგონას მის ნომერში შეპარვის ფაქტი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, ხოლო სასტუმროს დამლაგებლები დანაშაულის თვითმხილველები გახდნენ.

ჩოგბურთელმა თაყვანისმცემლებს თხოვნით მიმართა, რომ მას კვლავაც უგულშემატკივრონ ტურნირებზე გამოსვლის დროს, მაგრამ, ამავე დროს, მისი მყუდროება არ დაარღვიონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კვარაცხელია და ნაპოლი მილანთან ისევ დამარცხდნენ

**მილანი-ნაპოლი 1:0**
**მილანი. სან სირო**
**1:0 ბენასერი (40)**
**გაძევება: ანგისა (75)**

ნაპოლიმ და ხვიჩა კვარაცხელიამ მილანთან ისევ წააგეს. ამჯერად ჩემპიონთა ლიგაში და ამჯერად – სტუმრად. მეოთხედფინალის პირველი მატჩი სან სიროზე მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი სტადიო მარადონაზე გადაწყდება.

იტალიის ჩემპიონატში მილანთან ცოტა ხნის წინ განადგურებული ნაპოლი, იმავე მეტოქესთან ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და ცოტა რომ გამართლებოდა, იქნებ არც წაეგო.

თავიდან ნაპოლი უკეთესი იყო. მომენტები ხვიჩასაც ჰქონდა და მის თანაგუნდელებსაც. მერე თამაში მილანმა გამოიკეთა: ნაპოლი ერთხელ გადარჩა, მეორედ უკვე ველარ... თუმცა, შესვენებამდე კიდევ ერთი რომ არ გაუშვა, ეს სარგებელი იყო...

გოლი ისმაელ ბენასერმა შეაგდო, მაგრამ ეს ყველაფერი ბრაიმ დიასის დამსახურება იყო, ვინაც მოედნის ცენტრში შესანიშნავად ითამაშა და საგოლე შეტევა წამოიწყო.

მეორე ტაიმის დასაწყისიც ნაპოლის იყო და პირველი სახიფათო მომენტი ისევ ხვიჩამ შექმნა, რომლის ჩაწოდების შემდეგ ელმასმა თავით დაარტყა. მანიომ ბურთი კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია. ნაპოლი აგებდა და ლუჩანო სპალეტიმ თამაშის დასალაგებლად ცვლილებებს მიმართა, მაგრამ მისი გეგმები ზამბო ანგისამ არია, რომელმაც დროის მოკლე მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და ნაპოლი კაცნაკლული დარჩა.

საბოლოოდ, მილანმა პირველი თამაში მინიმალური ანგარიშით მოიგო. ამ გუნდების საპასუხო მატჩი ნეაპოლში 18 აპრილს გაიმართება და ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვევა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მაიკ მანიო

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საბა საზონოვი: „საქართველო დედაა, რუსეთი — მამა“

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის დინამოს მცველმა, საბა საზონოვმა რუსულ მედიასთან საქართველოს ნაკრებში თამაშის გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა.



**საბა საზონოვი:**

– ერთ რამეს ვიტყვი: არჩევანი ოჯახთან ერთად გავაკეთე და არა მგონია კითხვა სწორი იყოს. როდესაც არჩევანს აკეთებ, არ გეკითხებიან – რატომ. ფაქტი ერთია, ორი სამშობლო მაქვს. ბავშვობიდან ორმაგი მოქალაქეობა. ჩემთვის საქართველო დედაა, რუსეთი – მამა. არასოდეს ირჩევენ მშობლებს.

რუსული მედია საზონოვს ნაკრებში ხვიჩა კვარაცხელიასთან ერთად თამაშზეც შეეკითხა...

– ნაკრებში შეხვედრის დროს ძირითად ფეხბურთზე ვისაუბრეთ. გავიხსენეთ ის დრო, როდესაც მე ჯერ კიდევ ზენიტში ვიყავი, ის კი – რუბინში. მაშინ მატჩის შემდეგ მოედანზე ვისაუბრეთ. ქართულად რომ დაველაპარაკე, ხვიჩა გაოცდა – შენ ჰო, საზონოვი ხარ? ვუპასუხე – მაგრამ სახელი საბა მქვია... ეს ფრაზა დაუმახსოვრებია. როდესაც ნაკრებში შევხვდი, მაშინვე ის შეხვედრა გაიხსენა.

საზონოვმა საქართველოში თანაგუნდელის სტუმრობა გაიხსენა და სხვებსაც ურჩია.

– თბილისში ივან ბუდაჩევთან ერთად ჩავფრინდი. იქ პაპა დამხვდა. ყველაფერი ლამაზად იყო, ქართულად. სულ 9 დღე გვქონდა და „ბუდუს“ რამდენიმე საინტერესო ადგილი ვანახეთ. მეც თავად მინდოდა იმ ადგილებში ყოფნა. ჩემდა სამარცხვინოდ, საქართველოში ყველაფერი ნანახი თავად არ მაქვს. არადა, ყოველ ზაფხულსა და ზამთარს საქართველოში ვატარებ. სანახავი ადგილები კი, იქ ძალიან ბევრია. ვისარგებლებ შემთხვევით და ყველას გიწვევთ. გარანტირებულად გეუბნებით, მოგეწონებათ. ჯერ არ მინახავს ადამიანი, საწინააღმდეგო ეთქვას.

საზონოვმა სპორტული კუთხითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მედლის მოპოვების შანსი აქვს.

– ამ ნაკრებში თამაში ხვიჩა კვარაცხელიასაც შეეძლება. ის მაგარი ბიჭია და მიხარია, მაგრამ ევროპულ ჩემპიონატებში კიდევ არიან ფეხბურთელები, რომლებიც ასევე კარგად თამაშობენ. საერთოდ, ვთვლი, რომ საქართველოს ახლა კარგი თაობა ჰყავს. ეს ითქმის როგორც ეროვნულ, ასევე ახალგაზრდულ ნაკრებზე. შეგვიძლია ბევრს მივაღწიოთ. დარწმუნებული ვარ, ევრო 2023-ზე მედლებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ამასთან ტურნირი საქართველოში გაიმართება, ეს კი დიდი პლუსია. უნდა ნახოთ, ნაკრების თამაშებზე რა ხდება – სტადიონი სულ გადავსებულია. ერთ ცარიელ ადგილს ვერ ნახავ და ასე თამაში უფრო სასიამოვნოა.

21 წლის საზონოვმა 2022 წლის სექტემბერში საქართველოს ნაკრებში თამაში გადაწყვიტა. უკვე 17 ნოემბერს მისი დებიუტი მაროკოსთან ამხანაგურ მატჩში შედგა.

# კვარაცხელია და ნაპოლი მილანთან ისევ დამარცხდნენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ნაპოლისთან მატჩში მილანელთა ფრანგი მეკარე მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩნდა. რამდენიმე მომენტში გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**სტეფანო პიოლი:**

– უკვე საპასუხო თამაშზე ვფიქრობ, ეს იქნება კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი, როგორიც დღეს იყო. ორივე მხრიდან იყო ტექნიკური შეცდომები, მაგრამ დაბალანსებული და ორივე გუნდისთვის რთული თამაში გახლდათ. მათ ჩვენზე უკეთესად დაიწყეს, უფრო აგრესიულები იყვნენ, მაგრამ მერე კარგად ითამაშეთ. დასანანია, რომ რიცხობრივი უპირატესობით ვერ ვისარგებლეთ. ეს არის შედეგი, რომელიც მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს გვაძლევს.

ყველა მომეწონა, ძლიერ გუნდს წინააღმდეგობა გავუწიეთ. არანაირი შედეგით არ გადაწყდებოდა დღეს ნახევარფინალისტის ვინაობა, ახლა ნეაპოლში თავდაჯერებული და კონცენტრირებული წავალთ, ვიცით, რა სირთულეები შეგვხვდება.

**ლუჩანო სპალეტი:**

– გუნდი თამაშისთვის უნდა შევაქო. ასევე უნდა შევაქო მანიო. ისეთი თამაში იყო, როგორსაც ველოდი. არაფერს ვნანობ, ვიმუშავებთ. ძლიერი გუნდი მყავს, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. დღეს ვაჩვენეთ, რომ გვაქვს ხარისხი და 10 კაცით მილანთან თანაბრად თამაში შეგვიძლია. ოსიმენი რომ გვყოლოდა, მეტი შანსი გვექნებოდა. ოსიმენი 100%-ით იქნება საპასუხო შეხვედრაში, ყველაფერი ამისკენ მიდის. გეგმის მიხედვით გარისკვა არ ღირდა.

შანსი თანაბარია. ჩვენთვის არაფერი იცვლება, შინაც ისე ვითამაშებთ, როგორც სტუმრად, რადგან ბევრი კარგი რამ დავინახე. მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი ღია იყო და ღია რჩება. ერთ კვირაში შევხვდებით.



**რეალი-ჩელსი 2:0**

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

**1:0 ბენზემა (22), 2:0 ასენსიო (74)**

**გაძევება:** ჩილველი (59)

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი მადრიდის რეალმა გადადგა. „სამეფო კლუბმა“ შინაურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლონდონის ჩელსისთან უპირატესობა მოიპოვა. ერთია, თავს დამშვიდების უფლება არ უნდა მისცენ.

კარლო ანჩელოტის გუნდი დიდ უპირატესობას ფლობდა, დამსახურებულად მოიგო. ანგარიში კარიმ ბენზემამ 22-ე წუთზე გახსნა; მეორე ტაიმის დასაწყისში ლონდონელთა მდგომარეობა ბენ ჩილუელის გაძევების შედეგად დამძიმდა; რიცხობრივი უპირატესობა ესპანელებმა გამოიყენეს და მარკო ასენსიომ სხვაობა გაზარდა – 2:0.

ჩელსიმ იმედი არ გადაიწუროს, მაგრამ ფრენკ ლამპარდის გუნდის სათამაშო ფორმიდან გამომდინარე, რთული იქნება...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ვინისიუსი

ბრაზილიელი საკუთარი გუნდის ორივე საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა. პირველ შემთხვევაში თამაში საკუთარ თავზე აილო, კარში დაარტყა, მაგრამ მეკარემ აუღო და ბენზემამაც შემდეგ დაამატა; მეორე კი, ასენსიოს გამოზომილი პასი მისცა; ისედაც, მეტოქის დაცვას სპრინტებითა და დრიბლინგებით მუდმივად აწუხებდა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ლიდერებმა ერთმანეთში ფრე ითამაშეს

დაიწყო ეროვნული ლიგის მერვე ტური. მოხდა ისე, რომ ორ მატჩში ლიდერთა სამეული თამაშობდა. სატურნირო ცხრილში ამ კუთხით არანაირი გადაადგილება არ მომხდარა.



**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 2:2**

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

**1:0 ლუდუშაური (16), 2:0 ჯოვინო (24), 2:1 იმრანი (42), 2:2 სხირტლაძე (76)**

**დინამო (ბთ):** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ჩაბრაძე, ტეიდი (ვიდაკოვიჩი 86), ალთუნაშვილი, ლუდუშაური (ლიტვინენკო 46), ზარია (ბიძინაშვილი 54), ჯოვინო (მოსიაშვილი 76), კონატე (კაპანაძე 54)

**დინამო (თბ):** კერესელიძე, მალი (ხვადაგიანი 76), ნზაბა, ტაბიძე (ლაკვეხელიანი 63), კობოური, სხირტლაძე, ხარაიშვილი (მოისწრაფიშვილი 63), კირკიტაძე (კამარა 58), იმრანი (უგრეხელიძე 76), ვაგნერი, მარუშიჩი

**გაძევება:** ალთუნაშვილი (45)

პრინციპული და დაძაბული მატჩი ბათუმში. ბოლო ორი სეზონის ჩემპიონების შეხვედრა... 24-ე წუთისთვის მასპინძლები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ. ჯერ პაატა ლუდუშაურმა გაიტანა დამატებაზე, როცა დავით კერესელიძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა – 1:0; მერე კი, ჯოვინო ფლამარიონმა რთული სიტუაციიდან ტექნიკურად დაატრიალა ბურთი და სეზონში მეექვსე გოლი მიითვალა. შარშანდელი ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, გოლების რაოდენობით, ამ სეზონშიც პირველზეა.

პირველი ტაიმის ბოლოს თბილისელთა შემტევმა ულად-ომარ იმრანმა დაბალ კუთხეში დარტყმით შეამცირა სხვაობა. ამას მოჰყვა ბათუმელი სანდრო ალთუნაშვილის გაძევება – მეორე გაფრთხილება მიიღო. ზოგადად, ამ მატჩში მოქმედებდა ვიდეოგამეორების (ვარ) სისტემა.

მეორე ტაიმში დინამო თბილისმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. 76-ე წუთზე გუნდის კაპიტანმა დავით სხირტლაძემ ტექნიკურად შეასრულა დარტყმა – 2:2.

დინამოებს 20-20 ქულა აქვთ და წაუგებლად მიდიან.

**შუქურა-ტორპედო 0:2**

**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**

**0:1 ნადარაია (40), 0:2 ბულრიძე (90)**

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა (ს.გელაშვილი 69), ასათიანი, ლ.ქურდაძე, კუროკი, დუმბია (ანანიძე 86), ჯანელიძე, ც.ფაცაცია, სარდალიშვილი (ანდრონიკაშვილი 86), მზვაკალი (ვერულიძე 83), აფხაზავა (მუჯირი 46)

**ტორპედო:** გოშაძე, მჭედლიშვილი, მონტეირო, სანდოხაძე, ნადარაია, მანჯგალაძე (ბულრიძე 72), ოსიყმაშვილი (სამურკასოვი 86), შერგელაშვილი (ფელაი 72), შულაია (ნეტო 72), კაბალიერო, კაჭარავა (კაიკე 62)

ქუთაისის ტორპედომ ბათუმის ანგისაზე ქობულეთის შუქურას 2:0 მოუგო. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ცოტნე ნადარაიამ გახსნა ანგარიში, ხოლო შეხვედრის ბოლოს ირაკლი ბულრიძემ ზუსტი დარტყმით დაასრულა კონტრშეტევა.

ქუთაისელებს ამ სეზონში უკვე ხუთი გოლგაუშვებელი მატჩი მოუგროვდათ.

ტორპედო 15 ქულით მესამე ადგილზეა. შუქურა კი ჯერჯერობით მეშვიდეზეა: ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფრედ არ უთამაშია, ორჯერ მოიგო და ექვსჯერ წააგო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 8 | 6 | 2 | 0 | 21-9 | 20 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 6 | 2 | 0 | 21-10 | 20 |
| 3.ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 10-4 | 15 |
| 4.დილა | 7 | 2 | 4 | 1 | 5-3 | 10 |
| 5.სამგურალი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 6.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 7.შუქურა | 8 | 2 | 0 | 6 | 8-13 | 6 |
| 8.თელავი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 9.სამტრედია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-15 | 4 |
| 10.გაგრა | 7 | 0 | 2 | 5 | 8-19 | 2 |

# თსუ საქართველოს თასის მფლობელია

**თსუ-ბათუმი 78:76**

**(18:14; 15:18; 21:22; 24:22)**



სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ბათუმი დაძაბულ ბრძოლაში – 78:76 დაამარცხა და არსებობის ისტორიაში ტიტული მეორედ მოიგო.

პირველად სტუდენტებმა ეს 2006 წელს მოახერხეს, როცა თსუ-ნიკორას სახელით გამოდიოდნენ. მას შემდეგ თსუ კიდევ ორჯერ – 2008 და 2010 წლებში იყო თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ ტიტულს ვერ შესწვდა. ამჯერად კი, უნივერსიტეტის გუნდმა სუპერლიგის ჩემპიონობის შემდეგ რანგით მეორე ტიტული მოიგო.

ნახევარფინალის მსგავსად, თსუ-ს არც ამჯერად აკლდა ქომაგები. მაღლივი კორპუსიდან დაძრულმა სტუდენტების ლაშქარმა ოლიმპიური სასახლე სანახევროდ შეავსო. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ გუნდს ქომაგობა არ აკლდა, მაგრამ თამაშის მოგება ერთობ გაუჭირდა. ბათუმელები მეტოქეს არ რჩებოდნენ. მართალია, ძირითადად თსუ იყო წინ, მაგრამ ზღვისპირელები გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ.

ქულა-ქულაში მიმდინარე თამაშის კვანძი ბოლო წამებზე გაიხსნა. თსუ-ს ამერიკელმა ლეგიონერმა, ჯიმონ ჰენსონმა შეხვედრის ბოლო წუთზე ჰაერივით საჭირო სამქულიანი მიითვალა და სტუდენტების გუნდი 4 ქულით დააწინაურა. ტაქტიკური ჯარიმით ბათუმელებმა თამაშის გადარჩენის შანსი დაიტოვეს, მაგრამ საბა ლობჯანიძის სამქულიანი, რომელიც ბათუმელთათვის პოტენციურად დამაწინაურებელი იყო, კალათში არ ჩაეშვა.

ზღვისპირელებს ბოლო წამებზე კიდევ ერთი შანსი მიეცათ, როცა კაილი რიდლის განზრახ აცილებული საჯარიმო ლობჯანიძემ მოხსნა და რატომღაც პერიმეტრზე აიტანა ბურთი, რათა სამქულიანი ჩაეგდო, არადა, სხვაობა 2 ქულა იყო და წარმატებული შეტევის შემთხვევაში, თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა.

თსუ-ში მორიგი მძლავრი მატჩი ჩაატარა კორი ბოუენმა, რომელიც ოთხთა ფინალის მვპ გახდა. მას საუკეთესო მოთამაშის პრიზი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ნიკოლოზ ცქიტიშვილმა გადასცა, რომელმაც გამარჯვებულები ასევე შესაბამისი, თასის ფორმის მედლებით დააჯილდოვა.

საქართველოს თასი თსუ-ს კაპიტან ნიკოლოზ დარბაიძეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, ლაშა გამყრელიძემ გადასცა.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 2. მდინარე ამსტერდამში; 3. ტანსაცმლის და თეთრეულის კარადა; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. მუნჯი კინოს კომიკოსი; 9. საქართველოს ნაკრებისა და „კოპენჰაგენის“ ფეხბურთელი; 12. ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი ფრანგი მოქანდაკე; 13. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ქიმიური ინდიკატორი; 19. ბუბა ხოტივარის მხატვრული ფილმი; 20. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურე პირი.

**თარაზულად:** 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ავსტრალიის დედაქალაქი; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. კინოს ძველებური სახელწოდება; 15. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 18. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისათვის; 21. სველ კედელზე შესრულებული მხატვრობა; 22. გერმანიის კანცლერი; 23. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 24. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აუდიტი; 2. სიდრი; 3. აზალია; 4. არემჯი; 6. ყარაუნი; 9. თეთრი; 11. სიმენსი; 15. ნეთანიახუ; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. ილუმენი; 21. ლომბერი; 22. ხახული.

**თარაზულად:** 5. იუდაიზმი; 7. ავსტრია; 8. ძეწკვი; 10. ბენფიკა; 12. ჯიხვი; 13. ონიმა; 14. პარანგონი; 18. ოპელი; 20. ბურახი; 23. რაუნდი; 24. მილი; 25. ხორუმი; 26. ლეხი; 27. ბრონქსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კურტაჟი; 2. თუშმალი; 3. ნიველირი; 4. სიგალი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. აბაკელია; 13. პლატინა; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. აკაცია; 20. შუქურა.

**თარაზულად:** 6. ბურდუხანი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. იავნანა; 11. დაბა; 14. ბილტმორი; 15. ჟანდარმი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ხუნდი; 23. ალმასი; 24. ვირსალაძე.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

14 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5229

ევრო — 2.7795

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1554

100 რუსული რუბლი — 3.0848

## ამინდის პროგნოზი 14 აპრილისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპალეტი: „წაგება არ დაგვიმსახურებია“



მილანმა საკუთარ მოედანზე ნაპოლი დაამარცხა 1:0 და განმეორებითი მატჩის წინ უპირატესობა მოიპოვა. ლუჩიანო სპალეტის აზრით, მის გუნდს წაგება არ დაუმსახურებია და მსაჯმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა: „ანგისა გაძევებას არ იმსახურებდა და მსაჯმა რამდენჯერმე არ მისცა ყვითელი ბარათი მილანის ფეხბურთელებს. წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ წინ მეორე თამაშია“.

## ვინიციუსი: „შეგვეძლო უფრო მეტი გაგვეტანა“

მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე ჩელსი დაამარცხა 2:0 და ნახევარფინალში გასვლისთვის სერიოზული განაცხადი გააკეთა. რეალის ლიდერმა ვინიციუსმა, მატჩის შემდეგ თქვა, რომ მის გუნდს უფრო მეტი გოლის გატანაც შეეძლო: „შეგვეძლო 3 ან მეტი გოლი გაგვეტანა, მაგრამ 2-ბურთიანი უპირატესობაც კარგია. ლონდონში არ მოვეშვებით და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. რეალი წელსაც ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია და ყოველთვის ასე იქნება“.

## ერლინ ჰოლანდი: „ბაიერნთან ხუმრობა არ შეიძლება“



მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა ბაიერნზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდთან ხუმრობა არ შეიძლება და მიუნხენში სიტიმ სერიოზულად უნდა ითამაშოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სამბურთიანი უპირატესობა აქვთ: „ბაიერნი საკუთარ მოედანზე ძლიერია და ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ არ მოვდუნდეთ. ნახევარი საქმე გაკეთებულია, მაგრამ ჯერ კიდევ 90 წუთი წინ არის და ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## 911-ის დისპეტჩერი პოლიციელებთან სექსისთვის სამსახურს ჩამოაშორეს

ამერიკის ტეხასის შტატის სამაშველო სამსახურის დისპეტჩერი სამუშაოს მას შემდეგ ჩამოაშორეს, როდესაც მისმა ქმარმა იეჭვა, რომ ქალს შვიდ პოლიციელთან ჰქონდა სექსი.

განგაში 911-ის სამსახურის თანამშრომლის კრისტლი პერეზის მეუღლემ ჯანკარლომ ატეხა. მან ცოლის ტელეფონზე აღმოაჩინა სექსუალური შინაარსის მიმოწერა ქალაქ კონვერსის შერიფის ექვს თანაშემწესა და პოლიციელთან. იმის გამო, რომ მიმოწერაში მათი გაგზავნის დრო არ იყო მითითებული, რთული იყო იმის დადგენა, მათ ერთმანეთთან ურთიერთობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჰქონდათ თუ არა. თუმცა ამავე დროს ერთ-ერთ შეტყობინებაში ეწერა, რომ „ადრე მოვედი და შუაღამით განვთავისუფლდები“. ასევე კიდევ ერთ მიმოწერაში ნათქვამი იყო: „კიდევ ერთი დღე დაგვჭირდება სასტუმროში“.

აღშფოთებულმა მამაკაცმა ცოლის მიმოწერა მისი სამსახურის ხელმძღვანელს გადაუგზავნა, რის შემდეგაც მომხდარის შიდა გამოძიება დაიწყო. ამავე დროს, ინსპექტორ ჯეისონ ჯარვისის მეუღლემ ასევე აღმოაჩინა პერეზთან მიმოწერა თავისი ქმრის ტელეფონში და ის დეტექტივებს გადასცა.

შერიფმა ხავიერ სალაზარმა განაცხადა, რომ მისი თანამშრომლები პერეზთან სქესობრივ ურთიერთობას უარყოფენ, თუმცა მოტყუებული მეუღლეები დარწმუნებულები არიან, რომ მათ მიერ აღმოჩენილი მტკიცებულებები საწინააღმდეგოს ადასტურებენ.

ამ ყოველივეს შედეგად, დისპეტჩერი კრისტლი პერეზი, სერჟანტი რენალდო სალინასი, ინსპექტორი ჯეისონ ჯარვისი და შერიფის თანაშემწე ხუან ლეალი სამსახურს დროებით ჩამოაშორეს. საქმის გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რას მაჩუქებ დაბადების დღეზე?

– არაფერს.

– ის მაინც მითხარი, რომ ლამაზი ვარ.

– დღეს პირველი აპრილი კი არ არის.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლის პირველ ქმარს ვეძებ.

– რატომ?

– მინდა გავიგო, როგორ მოახერხა მისი თავიდან მოშორება!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მანქანის ბორბალი დამეშვა.

– მთლიანად?

– არა, მხოლოდ ქვედა მხარეს.

•••

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამიკო, საბავშვო ბაღში მე და ნინის სიყვარული გვაქვს.

– ეგ როგორ?

– ჩემ სათამაშოებს იღებს, თავისაზე კი თითსაც არ მაკარებინებს.

– თითქმის ოჯახი შეგიქმნიათ და ეგაა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პაატა ბურჭულაძე: „სარჩელი შემაქვს სასამართლოში“



ოპერის მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ გადაწყვიტა, სასამართლოში სარჩელი შეიტანოს შალვა რამიშვილის წინააღმდეგ. ამის მიზეზი ტელეწამყვანის მიერ თავის გადაცემაში ნათქვამი წინადადება „პაატა ბურჭულაძე, მსოფლიო ბანი მხილებული საქველმოქმედო თანხების გაფლანგვასა და თაღლითობაში“ გახდა.

პაატა ბურჭულაძე:

– სარჩელი შემაქვს სასამართლოში ჩემი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის. ასეა, როცა ენა წინ გისწრებს და ახლა ამტკიცე, ვინ არის ჩვენს შორის მიმთვისებელი და თაღლითი.

## ქართველი მსახიობი ბონდო მღებრიშვილი ამერიკულ სერიალში მიიწვიეს

ქართველი მსახიობი ბონდო მღებრიშვილი გახმაურებულ ამერიკულ ტელესერიალში მიიწვიეს.

სერიალი, სადაც ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ, მაყურებელში უდიდესი რეიტინგით სარგებლობს.

სერია, რომელშიც ქართველი მსახიობი მონაწილეობს, ეთერში 27 აპრილს გავა.

## დათო ევგენიძეს გიორგი მახარაშვილმა ღვიძლი გადაუნერგა



მომღერალი გიორგი მახარაშვილი კომპოზიტორ დათო ევგენიძის დონორი გახდა და მას საკუთარი ღვიძლი გადაუნერგა.

ხელოვანები ოპერაციისთვის თურქეთში გაემგზავრნენ. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

დათო ევგენიძემ ათასობით გულშემატკივარს ოპერაციის წარმატებით დასრულება ლექსით ახარა:

– ჩემმა ღვიძლმა ძმამ მახარამ – ახალი ღვიძლი მახარა, აღდგომა მოდის იხარეთ, ცამ მადლი გადმოგვაყარა.

## ალექსანდრე ხომერიკის საიუბილეო კონცერტი ბათუმში ჩატარდება



ოპერის მომღერლის ალექსანდრე ხომერიკის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი ბათუმში ჩატარდება.

ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში 24 აპრილს ბათუმის საზაფხულო თეატრში ცნობილი ტენორის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. მასში მონაწილეობას ალექსანდრე ხომერიკის აღზრდილები მიიღებენ.

საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, შოთა რუსთაველისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატის სახელთან არის დაკავშირებული ბათუმის საოპერო თეატრის დაფუძნება, ბათუმში საოპერო ხელოვნების დაარსება და არაერთი ნიჭიერი ოპერის მომღერლის აღზრდა.

ალექსანდრე ხომერიკი 3 წლის წინ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## გოგი მარგველაშვილს ახალი თანამდებობა აქვს



რეჟისორ გოგი მარგველაშვილს ახალი თანამდებობა აქვს. იგი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ დაინიშნა. აქამდე რეჟისორი უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლად მუშაობდა.

გოგი მარგველაშვილმა თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა დრამის რეჟისორის სპეციალობით და პედაგოგიური საქმიანობაც იქვე დაიწყო. მან არაერთი თაობა აღზარდა. წლების მანძილზე იყო თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ახლა კი გრიბოედოვის თეატრის მთავარი რეჟისორია.

რეჟისორმა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრში, კინომსახიობთა, თავისუფალ და გრიბოედოვის თეატრებში არაერთი სპექტაკლი დადგა. მისი წარმატებული საქმიანობა არაერთი პრემიითა და ჯილდოთი აღინიშნა: თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის, რუსთავის თეატრალური ფესტივალის პრემია საუკეთესო რეჟისურისათვის, პრიზი საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის, პრიზი საუკეთესო ექსპერიმენტული რეჟისურისათვის...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



14 აპრილისათვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 2. ბრიტანული არაყი; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. დამუშავებული გეგმა; 9. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 11. ყირგიზეთის დედაქალაქი; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამზადების ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, რეჟისორი მამაკაცი; 21. ფლანდრიელი ფერმწერი; 22. დიდი ფრიალო კლდე.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 7. მხატვრულ ფილმ „დაკარგული სამოთხეს“ რეჟისორი; 8. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი; 10. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბარიტონი; 12. ავტოდრომი იტალიაში; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. ფრანგი მარშალი, შვეციის მეფე; 18. უნგრული ღვინო; 20. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 23. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 24. ფეხბურთში მცველის ძველი სახელწოდება; 25. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 26. ბერძნული ყველი; 27. თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

